# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
## ქ. თბილისი

MES 0 23 0001567740

16/11/2023

**სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე**

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის,„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^{2}$ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^{5}$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^{5}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის $3^{1}$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^{1}$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 01 მაისის №16/778 (ცენტრში რეგისტრაციის №479082) სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ წარმოადგინა "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო, "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო და "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე განაცხადი.

2.2. ცენტრის 2023 წლის 06 ივნისის №650608 ბრძანების საფუძველზე,სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 04 ივლისის №812995 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო, "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო და "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 26 და 27 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| **სტანდარტები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 03 ნოემბერს, სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

**3. სარეზოლუციონაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს იქნა სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო, "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო და "სახელოვნებათმცოდნეო კვლევების (ქართული ხელოვნების

ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის №1564737 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიტანოს აკადემიური ესეები თავის ზოგიერთ სილაბუსში და ეს ესეები გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით. შეაფასოს; შეფასება უნდა მოიცავდეს სტუდენტების მიერ გამოყენებული წყაროების მითითების სტილისა და ადეკვატურობის შეფასებას.
- ეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკული თვალით გადახედოს სილაბუსებში მოცემულ ლიტერატურას, რათა შეავსოს იგი უფრო განახლებული საინფორმაციო რესურსებით და შეამციროს იმ ენაზე წარმოდგენილი პუბლიკაციების რაოდენობა, რომლის კომპეტენცია სტუდენტებს შეიძლება არ ქონდეთ (მაგ. უსული ენა).
- ეკომენდებულია, ბიუჯეტის დაგეგმვა ითვალისწინებდეს გადახარჯვის რისკებს და მის შესაძლო გავლენას პროგრამების ფინანსურ მდგრადობაზე.
- რეკომენდებულია, შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია (საერთაშორისო კვლევები და შესაძლებლობების განვითარების გრანტები) და შემოსავლის ამ წყაროების გამოყენება სწავლებისა და სასწავლო რესურსების განახლებაზე მეტი ხარჯების გაწევის მიზნით.

რჩევები:

- სასურველია, რომ ფრაზა „გამოიყენება სამუშაო სფეროში დასაქმებისთვის" დაემატოს საბაკალავრო პროგრამის მე-5 მიზანს, რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივაზე;
- სავარაუდოდ, ერთ სემესტრში 3 ECTS მოდულების დიდი რაოდენობა მეტი დატვირთვაა სტუდენტებისთვის, ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს მათთან, ამგვარად შემოწმდება, რამდენად უმკლავდებიან სტუდენტები ამ დატვირთვას.
- სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებისთვის მიზანშეწონილი იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების უფრო ხშირად ჩატარება.
- შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს საბოლოო და შუალედურ გამოცდებზე შეფასებებს შორის განსხვავების შეტანა საბოლოო გამოცდის სასარგებლოდ.
- რადგან სტუდენტებს გააჩნიათ მეტი ექსკურსიების და საველე გასვლების მოლოდინი, მიზანშეწონილია, რომ პროგრამებმა განიხილონ სტუდენტებთან ეს საკითხი და განახორციელოს შესაძლო ცვლილებები.
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიამ თავი აარიდოს ფეისბუქ ჯგუფების გამოყენებას ელექტრონული რესურსების გასაზიარებლად და შეიმუშაოს ბიბლიოთეკის მასალების გავრცელებისა და შეკვეთის უფრო მოქნილი სისტემა.
- სასურველია გარე კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული ინტერვალებით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის წარდგენის წინ, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 16 ნოემბერს.
6. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განიზახღვროს 2024 წლის 16 ნოემბერი.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ხელოვნების ისტორია და თეორია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 21/10/2011, N158 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0213 სახვითი ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |
| 16 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2023 წლის 16 ნოემბერი |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | 2024 წლის 16 ნოემბერი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2023 წლის 16 ნოემბერი |